საქართველო

23036-01-2-202009011629

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/23036
01/09/2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს

ინფორმაციისთვის გიგზავნით, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, 2020 წლის 28 აგვისტოს № 098/2020 ნოტის ასლს (2020 წლის 28 ივლისის №094/2020 ნოტის დამატება), რომელიც ეხება ახალ რეგულაციებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გამგზავრებასთან დაკავშირებით. კერძოდ: საზღვრის კვეთისას, მგზავრების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და პანდემიის გავრცელების რისკის შესამცირებლად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა 99 ქვეყნიდან (სია რეგულარულად განახლებადია შემდეგ ვებ-გვერდზე: https://hr.cs.mfa.gov.cn/help_two/help-two/gj.html) პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მიმავალ მგზავრებს თხოვს წარმოადგინოს COVID-19-ის დიაგნოსტიკის ლაბორატორიული ცენტრების მიერ გაცემული COVID-19-ის ტესტის სერთიფიკატი.

საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიემგზავრებიან ზემოთჩამოთვლილი ქვეყნების გავლით, ჩასხდომამდე სამი დღის განმავლობაში უნდა ჩაიტარონ ტესტი, საქართველოში მოქმედი COVID-19-ის დიაგნოსტიკის ლაბორატორიულ ცენტრებში (იხ. დანართი).

განმცხადებელმა, COVID-19-ის ტესტის უარყოფითი შედეგის დამადასტურებელი სერთიფიკატი, მოქმედი პასპორტის მონაცემები და მის მიერ შევსებული და ხელმოწერილი „დეკლარაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“ (დეკლარაციის ფორმა იხ. დანართი) უნდა გაგზავნოს საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ელექტრონულ მისამართზე: consulate_geo@mfa.gov.cn. განმცხადებელს დამოწმებული დეკლარაცია უკან დაუბრუნდება, რომელსაც ამობეჭდავს და წარადგენს აეროპორტში. მგზავრმა უნდა გაითვალისწინოს დეკლარაციის მოქმედების ვადები.

დანართი:

1. ნოტის ასლი - 5 (ხუთი) გვერდი;

2. საქართველოში მოქმედი COVID-19-ის დიაგნოსტიკის ლაბორატორიული ცენტრები - 1 (ერთი) გვერდი;

3. დეკლარაციის ფორმა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,
მაია ბართაია

დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
საკონსულო დეპარტამენტი